სახელმწიფოშესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №65

---

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

---

ქ. ბათუმი 22 აგვისტო 2018 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ასლან გელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დათანატა" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, როლანდ ქამადაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს დროებითი ღამის თავშესაფარისთვის, ( მისამართი: ქ, ბათუმი, მამია ვარშანიძის ქ. N74ა) სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალების, სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალებისა და მათთან დაკავშირებული საგნების შესყიდვა. მიმწოდებლის მხრიდან მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად,თანახმად მოთხოვნილი საქონლის ჩამონათვალისა.

1.2. კლასიფიკატორის კოდები: CPV 44100000, 44110000, 44130000, 44140000, 44160000,44170000,44190000. (სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალები). CPV 44400000, 44410000, 44420000. (სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალებისა დამათთან დაკავშირებული საგნები)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს, მათ შორის თანხები კლასიფიკატორის ძირითად კოდებზე გადანაწილდა შემდეგნაირად:

CPV 44100000 - 300 (სამასი) ლარი.

CPV 44400000 - 300 (სამასი) ლარი.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს დროებითი ღამის თავშესაფრის ქვეპროგრამის ფარგლებში, ფაქტიურად მოწოდებული საქონლისა და მოწოდებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე,დოკუმენტის შედგენიდან და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონდმებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.„შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2.შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მაღალხარისხიანი საქონლის მოწოდება.

4.4. შემსყიდველის მხრიდან, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს ტექნიკური მენეჯერი გიგა ბეჟანიძე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი:

*ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.N43- 41/დ.თავდადებულის ქ. N56.*

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს ტექნიკური მენეჯერი გიგა ბეჟანიძე.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის შემთხვევაში მიმწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

8.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 12.ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

## 13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“

*საიდენტიფიკაციო კოდი: 445437705*

*სახაზინო კოდი№740807519*

*ბანკის კოდი:* ***TRESGE22***

ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№90ა

იურიდ. მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25

*დირექტორი*

*ასლან გელაძე*

„მიმწოდებელი“

შპს „დათანატა“

*საიდენტიფიკაციო კოდი:* 445488650

*მიმღები ბანკი:* ს.ს. `თიბისი ბანკი“

*ბანკისკოდი:* **TBCBGE22**

ანგარიშის N GE63TB7709336050100001

ტელ: 555 206240

*მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.N43- 41 /დ.თავდადებულის ქ. N56*

*დირექტორი*

როლანდ ქამადაძე

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

22 აგვისტო 2018 წელი

ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს დირექტორი ასლან გელაძე და ტექნიკური მენეჯერი გიგა ბეჟანიძე ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს მიერ 2018 წლის 22 აგვისტოს **შპს „დათანატა"-სთან** დადებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N65 ხელშეკრულების (გამარტივებული შესყიდვა) საშუალებით, დროებითი ღამის თავშესაფრისთვის **სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალების, სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალებისა და მათთან დაკავშირებული საგნების** შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს

**დირექტორი:** _____ **ასლან გელაძე**

**ტექნიკური მენეჯერი** _____ **გიგა ბეჟანიძე**